



ახალი წართლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა

საჯარო სამართალი

ქუთაისი

2011

1. პროგრამის სახელწოდება: საჯარო სამართალი

ხელმძღვანელი: მამუკა შენგელია, სამართლის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი.
ტელეფონი : 599 17 69 68 (პირადი); 8431 25 03 79 (სამართლის დეპარტამენტი);
ელ.ფოსტა: mamuka-shengelia@mail.ru

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო სამართლის მაგისტრი - Master of Public Law

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი

4. სწავლების ენა: ქართული

5. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და დასაქმების სფერო:

- ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება და კურსდამთავრებულის აღჭურვა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციით; აქცენტის გაკეთება ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე;
- თეორიასა და პრაქტიკაში მიმდინარე უახლესი ცვლილებების კრიტიკული გააზრება და ინტერპრეტაცია, ორიგინალურობისა და შემოქმედებითობის დემონსტრირება, პროფესიულ დონეზე განვითარება;
- პრაქტიკულ საქმიანობაში რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინება; ინტელექტუალურ და აკადემიურ განვითარებასთან ერთად მოქალაქეობრივი სულისკვეთებით აღზრდა;
- პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, სამსახურებრივი ვალდებულების შესრულებისას სამართლიანობისა და მორალის უზრუნველყოფა, კომუნიკაციის ეფექტური მეთოდების გამოყენება;
- პროგრამასთან დაკავშირებული კვლევების ხარისხის გაცნობიერება; დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის სამართლებრივი არგუმენტაციის კრიტიკისა და სინთეზის უნარ-ჩვევების ფლობა, სხვა საჭირო კომპეტენციების განვითარება და სწავლის გაგრძელება სადოქტორო პროგრამაზე;
- სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განხორციელების საფუძველზე მოსამართლის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით გადაწყვეტილებისათვის მასალების მოძიების, ფორმულირებისა და დასაბუთების სწავლება;
- საჯარო მოხელის უნარ-ჩვევების გამომუშავება, სამართლებრივი აქტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება-განალიზება და გამოყენების სწავლება;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ასევე კონსტიტუციური სამართალწარმოების ზოგიერთი ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოყენების სწავლება-განხორციელება;
- საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს საქართველოს სასამართლო ორგანოთა სისტემაში, საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის და მთავრობის ცალკეულ სამსახურებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საქართველოს კონტროლის პალატაში, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში. აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში;
- ცალკეულ პროფესიაში, შესაძლოა კანონმდებლობით, ან შესაბამისი პროფესიული გაერთიანების მიერ დაწესებული იყოს პროფესიის დაუფლებისათვის დამატებითი წინაპირობები.

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული სამაგისტრო და მოცემული სპეციალიზაციით საუნივერსიტეტო გამოცდები.

7. სწავლის შედეგები:

ზოგადი კომპეტენციები

დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება	შეუძლია პრობლემის განსაზღვრა, აღწერა და ფორმულირება; სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირება და მოცემულ სპეციალიზაციაში კომპეტენციის შესაბამისი დონის დემონსტრირება; კონკრეტული საკითხის გადასაჭრელად ალტერნატიული გზებისა და სტრატეგიის გამოკვეთა; შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება გადაწყვეტილების მიღებისათვის და მიღებული ინფორმაციის შეფასება; პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად სოციალურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის	აქვს სამართლის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.
-----------------------	---	--

	ინფორმაციის მოძიების და მათი გამოყენების ხერხებისა და მეთოდების შერჩევა.	
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	პრობლემის გადასაწყვეტად არჩევს კონკრეტულ პრაქტიკულ სტრატეგიას; ახდენს ფაქტების იდენტიფიცირებას და კლასიფიცირებას, პრიორიტეტების განსაზღვრას, პრაქტიკული მუშაობის დაგეგმვა-ორგანიზებას, განმარტების მეთოდებისა და პრინციპების შეფასებას და გამოყენებას; ეფექტური იურიდიული პრაქტიკის განხორციელებისათვის მიზნებისა და პრინციპების, საქმის სამართლებრივ-ფაქტობრივი ვერსიების ფორმულირებას; მოვლენებისა და პროცესების კომპლექსურ და ობიექტურ შეფასებას.	განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება.
დასკვნის უნარი	შეუძლია პრობლემის შესახებ განზოგადებული, არგუმენტირებული და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა, სამართლებრივი ანალიზი, მიღებული ცოდნისა და უნარების დაკავშირება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების მომზადების მიზნით სტრატეგიების შემუშავება; ცალკეული მეცნიერული არგუმენტაციის კრიტიკა და ანალიზი.	ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილებების ანალიზი და გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბება.
კომუნიკაციის უნარი	ფლობს კამათის კულტურას და სამართლებრივ საკითხთა პრეზენტაციების უნარს; მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომპლექსური სამართლებრივი საკითხის, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად ჩამოყალიბების უნარს; მოსმენის, დარწმუნებისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარებს; კომუნიკაციის მიმღებისათვის ადექმის უნარს.	შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები.
სწავლის უნარი	პირველადი წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით განსაზღვრავს საკუთარი სწავლის პროცესს; სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების დანერგვისათვის საჭირო სტრატეგიებს; სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებით აცნობიერებს შესაბამისს სფეროს; ფართოდ იყენებს სამართლებრივი კვლევის უახლეს მიღწევებს; ადასტურებს შესაბამის სფეროში ცოდნის გაღრმავების მეთოდების მკაფიო განაცხადს.	შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი, გაიფართოოს ცოდნა შესაბამისი სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით.

<p>ღირებულებები</p>	<p>შეუძლია მოაზროვნე პრაქტიკოსის უნარ-ჩვევებსა და ცოდნა-გაზრებაზე დაფუძნებული პროფესიის არსისა და დანიშნულების დაცვა; ზნეობრივ-ეთიკური საკითხების გამოკვეთა და სათანადო გადაწყვეტილების მისაღწევად შესაბამისი პრინციპებისა და წესების გონივრულად გამოყენება; ადამიანებთან ურთიერთობაში პატივისცემის გამოხატვა; საკუთარი თავისა და კოლეგების შეფასება.</p>	<p>მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.</p>
---------------------	---	--

8. სწავლების/სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

8.1 სოკრატეს მეთოდი:

- კრიტიკული აზროვნების უნარის განსავითარებლად დისკუსიაში მაგისტრანტთა დიდი ჯგუფის ჩართვა;
- დასაბუთების უნარის განვითარება და მისი გამოყენება ნებისმიერი სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტის დროს;
- საკითხების აქტიურ განხილვაში მონაწილეობის მოულოდნელობის ეფექტი.

8.2 ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:

- სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია.

8.3 წიგნზე მუშაობის მეთოდი:

- დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად დავალების მიცემა წიგნზე მუშაობის სახით.

8.4 წერითი მუშაობის მეთოდი:

- ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება.

8.5 ჯგუფური (collaborative) მუშაობა:

- მაგისტრანტების ჯგუფებად დაყოფა და სასწავლო დავალების მიცემა;
- საკითხის ინდივიდუალურად დამუშავება და პარალელურად ჯგუფის დანარჩენი წევრებისათვის გაზიარება;
- სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილების სტრატეგია.

8.6 ეგრისტიკული მეთოდი:

- მაგისტრანტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივი გადაწყვეტა, ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით განხორციელება.

8.7 შემთხვევის ანალიზი (Case study):

- კონკრეტული შემთხვევის განხილვა, საკითხის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა.

8.8 როლური და სიტუაციური თამაშები:

- მაგისტრანტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება ალტერნატიული პოზიციის ჩამოყალიბებაში და მის დაცვაში.

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაგისტრანტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია მაგისტრანტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. მაგისტრანტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
 - ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს. კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. მაგისტრანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში მაგისტრანტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

10. სასწავლო გეგმა: 5 კრედიტი - 125 საათი.

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა - საჯარო სამართალი, შედგება იურიდიული კლინიკური განათლების (30 კრედიტი), სამეცნიერო კვლევის (30 კრედიტი), თეორიული და პრაქტიკული (60 კრედიტი) კომპონენტებისაგან(სავალდებულო-50 კრედიტი; არჩევითი-10 კრედიტი).

10.1 იურიდიული კლინიკური განათლების კომპონენტი:

- იურიდიული კლინიკური განათლების კომპონენტი (30 კრედიტი) სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო ნაწილია, რომელიც განხორციელდება შემოდგომის (III) სემესტრში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის დეპარტამენტის იურიდიული კლინიკაში - 10 კრედიტი; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კლინიკაში - 20 კრედიტი.
- სამართლის დეპარტამენტის იურიდიულ კლინიკაში მაგისტრანტები ერთი სემესტრის განმავლობაში შეისწავლიან კაზუსების ამოხსნის ტექნიკას და მეთოდებს, დაეუფლებიან ცალკეული საპროცესო დოკუმენტების მომზადების ტექნიკას, ადმინისტრაციული საქმის წარმოების პროცესულ თვისებებებს და განაზოგადებენ საქმეთა განხილვის სხვადასხვა სტადიებზე სათანადო გადაწყვეტილების მიღებისა და ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის შესაძლებლობებს.
- საქალაქო სასამართლოს კლინიკის ფარგლებში მაგისტრანტებს საშუალება ეძლევათ შეადგინონ სასამართლო გადაწყვეტილებების პროექტები, აქტიურად ჩაერთონ და აითვისონ სასამართლოში საქმეთა მომზადებისა და განხილვის სპეციფიკა, მონაწილეობა მიიღონ საქმის განსახილველად მომზადებაში, დაესწრონ სასამართლო პროცესებს, გაეცნონ სასამართლო პრაქტიკის ძირითად მიმართულებებს, შეიძინონ სასამართლო საქმის წარმოებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და ის უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია პრაქტიკული საქმიანობისთვის.
- კლინიკებში საქმიანობის დაწყების წინაპირობაა გასაუბრების წარმატებით გავლა.

10.2 სამეცნიერო კვლევის კომპონენტი: მაგისტრანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება: სამეცნიერო წერის საფუძვლები- 5 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომის შესრულება - 30 კრედიტი.

10.3 თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი: მოიცავს კურსებს კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, საერთაშორისო საჯარო სამართლის და პედაგოგიკის მიმართულებით. ცალკეული პრაქტიკული კომპონენტი, თეორიული კომპონენტის, როგორც კურსის შემადგენელი ნაწილია. ზოგიერთი სასწავლო კურსი კი მთლიანად პრაქტიკულ პროფილზეა აგებული.

№	კურსის კოდი	კურსის დასახელება	ლ/პრ/დამ.მ.შ.	სკ	კრედიტი	კურსის სტატუსი: სავალდებულო/არჩევითი	შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრები			
							I	II	III	IV
1	SLM0150	კონსტიტუციური მართლმსაჯულება	24/12/89	3	5	სავალდებულო	5			
2	SLM0240	ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	0/24/101	2	5	სავალდებულო	5			
3	SLM0200	სამოსამართლო	12/12/101	2	5	სავალდებულო	5			

		სამართალი									
4	SLM0170	საპარლამენტო სამართალი	12/12/101	2	5	სავალდებულო	5				
5	SLM0520	სამეცნიერო წერის საფუძვლები	0/24/101	2	5	სავალდებულო	5				
6	SLM0230	ადმინისტრაციული დავების სასამართლო წარმოება	0/30/95	2	5	სავალდებულო		5			
7	SLM0360	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი	15/15/95	2	5	სავალდებულო		5			
8	SLM0370	საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკული კურსი	0/30/95	2	5	სავალდებულო		5			
9	SLM0260	სასამართლო გადაწყვეტილებათამიღე ბა და დასაბუთებულობა	0/30/95	2	5	სავალდებულო		5			
10	SLM0380	იურიდიული ეთიკა	15/15/95	2	5	სავალდებულო		5			
11	SLM0161	შედარებითი კონსტიტუციური სამართალი	12/12/101	2	5	არჩევითი					
12	SLM0101	საადვოკატო უნარ- ჩვევები	0/24/101	2	5	არჩევითი					
13	SLM0391	ევროპის საბჭოს სამართალი	12/12/101	2	5	არჩევითი	5				
14	SLM0340	საჯარო მმართველობა	12/12/101	2	5	არჩევითი					
15	PPM0501	პედაგოგიკის ზოგადი კურსი	24/12/89	3	5	არჩევითი					
16	SLM0191	ადამიანის ძირითადი უფლებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში	15/30/95	3	5	არჩევითი					
17	SLM0221	სახელმწიფო შესყიდვების, ლიცენზიების და ნებართვების სამართალი	15/15/95	2	5	არჩევითი					
18	SLM0211	საკუთრების უფლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში	15/30/80	3	5	არჩევითი		5			
19	SLM0401	ევროკავშირის სამართალი (ქართულად და ინგლისურად)	15/15/95	2	5	არჩევითი					
20	PPM0511	უმადლესი სკოლის დიდაქტიკა	30/15/80	3	5	არჩევითი					
21	SLM0410	ადმინისტრაციულ ი წარმოება	0/30/95	2	5	სავალდებულო			5		
22	SLM0420	იურიდიული კლინიკური კაზუსების ამოხსნის მეთოდიკა ადმინისტრაციულ	0/45/80	3	5	სავალდებულო			5		

			საქმეებზე								
23	SLM0430		კლინიკური პრაქტიკა	0/60/440	4	20	სავალდებულო			20	
24	SLM0300	სამაგისტრო ნაშრომი				30	სავალდებულო				30
სულ								30	30	30	30
120											

შენიშვნა1: მაგისტრანტი შემოდგომის(I) და გაზაფხულის(II) სემესტრებში ირჩევს მხოლოდ ერთ 5 კრედიტიან კურსს; გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/პრ./დამ.მუშ.-ლექცია/პრაქტიკული/დამოუკიდებელი მუშაობა.

11. კომპეტენციების რუქა:

№	კურსის დასახელება	კომპეტენციების დასახელება					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	კონსტიტუციური მართლმსაჯულება	x	x	x		x	
2	ადმინისტრაციული სამართალდარღვევა		x	x	x	x	
3	სამოსამართლეო სამართალი		x	x	x	x	x
4	საპარლამენტო სამართალი	x	x	x		x	
5	სამეცნიერო წერის საფუძვლები	x	x	x	x	x	
6	ადმინისტრაციული დავების სასამართლო წარმოება	x	x	x	x	x	
7	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი	x	x	x		x	
8	საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკული კურსი	x	x	x	x	x	
9	სასამართლო გადაწყვეტილებათამიღება და დასაბუთებულობა		x	x	x		x
10	იურიდიული ეთიკა		x		x	x	x
11	შედარებითი კონსტიტუციური სამართალი	x	x	x		x	
12	საადვოკატო უნარ-ჩვევები	x	x	x	x		x
13	ევროპის საბჭოს სამართალი	x	x	x			
14	საჯარო მმართველობა		x	x		x	x
15	პედაგოგიკის ზოგადი კურსი	x	x			x	x
16	ადამიანის ძირითადი უფლებები საქართველოს საკონსტიტუციო	x	x	x		x	x

	სასამართლოს პრაქტიკაში						
17	სახელმწიფო შესყიდვების, ლიცენზიების და ნებართვების სამართალი		x	x	x	x	
18	საკუთრების უფლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში		x	x	x	x	x
19	ევროკავშირის სამართალი (ქართულად და ინგლისურად)	x	x	x	x		
20	უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა	x	x		x	x	x
21	ადმინისტრაციული წარმოება(კლინიკური კურსი)		x	x	x	x	x
22	კაზუსების ამოხსნის მეთოდოლოგია ადმინისტრაციულ საქმეებზე(კლინიკური კურსი)		x	x	x		x
23	კლინიკური პრაქტიკა		x	x	x	x	x
24	სამაგისტრო ნაშრომი	x	x	x	x	x	

12. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსი:

ადამიანური რესურსი: პროგრამის განხორციელებას ემსახურება აწსუ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები: 3 - სრული პროფესორი; 3 - ასოცირებული პროფესორი; 2 - ასისტენტ პროფესორი; 7 - სპეციალისტი.

მატერიალური რესურსი: უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრები, იურიდიული კლინიკები.